სინამდვილეში ამ ხელშეკრულების დადება ბრწყინვალე საგარეოპოლიტიკური წარმატება იყო, რამაც შეესაძლებლა მისცა ჩვენს ქვეყანას, ბერლინი-რომი-ტოკიოს არსებობის პირობებში თავიდან აეცილებინა ერთდროული ომი ორ ფრონტზე: დასავლეთში — გერმანიასა და იტალიასთან, აღმოსავლეთში — იაპონიასთან,



ადოლფ ჰიტლერი და ბენიტო მუსოლინი საბარათო სემინარის მიზნით იოზეფ ბეკი

რისი რეალური საშიშროებაც მაშინ არსებობდა.

ამ პირობებში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა, იოსებ სტალინის მეთაურობით, ვალდებული იყო, გაეცნო იტალიებისა და მოსკოვის სახელმწიფოების მიმართ მოსკოვში თავდაუსხმელობის შესახებ სსრკ-გერმანიის ხელშეკრულების დადებით.

საზგასახლოვლო, რომ ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის სახელმწიფო კონფლიქტი იაპონიასთან შორეულ აღმოსავლეთში დამთავრებული არ იყო. 1939 წლის 4-8 სექტემბერს იაპონელები რამდენიმეჯერ შეეცადნენ კონტრშეტევაზე გადასვლას, მაგრამ უკუგადასვლას ვერცხდნენ. დაზავებაზე მხოლოდ 15 სექტემბერს შეთანხმდნენ. 16 სექტემბერს ეს შეთანხმება ძალაში შევიდა. იაპონიასთან ნეიტრალიტეტის შესახებ პაქტს მხოლოდ 1941 წლის 13 აპრილს მოეწერა ხელი.

შორეული აღმოსავლეთის ფრონტზე დამარცხებამ და ამავე დროს თავდაუსხმელობის პაქტის დადება სსრ კავშირსა და გერმანიას შორის იაპონიაში მთავრობის კრიზისი გამოიწვია — გადადგა ხი-რანუმო კიიტის კაბინეტი, აღზევდა ე.წ. საზღვაო პარ-

ტი, რომელიც მოითხოვდა ექსპანის მიმართულების შეცვლას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის კუნძულებისკენ.

ამ ვითარებამ მკვეთრად შეცვალა იაპონური აგრესიის ვექტორი, რომელმაც სსრ კავშირისკენ მიმართულებიდან ინგლის-ამერიკული მიმართულებისკენ გადაინაცვლა.

დასკვნა აშკარაა: მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებამ ბრალი გერმანიასთან ერთად მიუძღვის საფრანგეთს, ინგლისს (და აშშ-ს), აგრეთვე, იმ სახელმწიფოებს, რომლებიც სსრ კავშირის პერიფერიულ მდებარეობაში

ამასთან ერთად, ინგლისს, საფრანგეთსა და ამჟამინდელი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ ფაშისტურ გერმანიასთან თანამშრომლობის გამო ომის ყველა ეტაპზე, მასობრივი კოლაბორაციონიზმისთვის.

ევროპისა და ამერიკის ისტორიაში ამ სამარცხივების ბრალდების ამოშლისთვის იღვნიან ასე თავგამოდებით აშშ-ის მიერ მართული საერთაშორისო ორგანიზაციები და ტენდენციური მსოფლიო პრესა.

ვიქტორ ბურბაკი
fondsk.ru



პოლონეთს მიმართ ჩეხოსლოვაკიის მიწების ამოგლეჯილი სასაზღვრო ზოგი, რომელსაც ჩეხეთის გარეგანი მთავრობა განადგურებული ტერიტორია, 1938 წლის ოქტომბერი

გაერმანები

ვლადიმერ პუტინი, რფ-ის პრემიერ-მინისტრი:



2016 წლისთვის რუსეთი ევროპაში ავტომობილების მწარმოებელ უმსხვილეს ცენტრად იქცევა. ჩვენ ძალზე მაღალი ზრდის პოტენციალი გვაქვს. შარშან რუსეთში მსუბუქი ავტომანქანების წარმოება ორჯერ გაიზარდა. წლის პირველ ნახევარში ზრდამ 76% შეადგინა.

rosbalt.ru

ბარაკ ობამა, აშშ-ის პრეზიდენტი:



ჩემს ადმინისტრაციას რთულ ფინანსურ პირობებში უწევს მუშაობა, ვინაიდან წინა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-უმ ცროსმა ტრილონი დოლარის ოდენობის საბიუჯეტო დეფიციტი დატოვა. თუ კონგრესი კანონპროექტს არ გაუშვებს, გზას დავადგება და ხალხთან ვისაუბრებ.

lenta.ru

ანგელა მერკელი, გერმანიის კანცლერი:



1973 წლის ლიბის რეზოლუციის კენჭისყრისას გერმანიის მხრიდან თავშეკავება განპირობებული იყო აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას პოზიციით, რომელმაც განაცხადა, რომ რეზოლუციის მხარდაჭერა გულისხმობდა გერმანიის ავტომატურ მონაწილეობას ნატოს სამხედრო საპერო ძალების ოპერაციაში. სწორედ ამ ნაგულისხმვება ავტომატიზმა განაპირობა გერმანიის მხრიდან რეზოლუციისთვის მხარდაჭერაზე უარი.

lenta.ru

ჰილარი კლინტონი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი:



მოვუწოდებ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს — ანმეტ დავუთოლლუს, არ გააუარესოს ურთიერთობები ისრაელთან. ვშიშობ, რომ დროზე ადრე გამოქვეყნებული გაეროს დასკვნა „თავისუფლების ფლოტილის“ შესახებ და ისრაელის ხელისუფლების უარი, ბოდიში მოიხადოს „მარმარაზე“ მომხდარის გამო, შესაძლოა რეგიონში აშშ-ის ორ სტრატეგიულ პარტნიორს შორის ახალი კრიზისის მიზეზად იქცეს.

panarmenian.net

ბუშერა ირანის ელექტროსისტემაში ჩართვას

ბუშერის ატომური ელექტროსადგური ირანის ერთიან ელექტროსისტემაში ჩართვას. წყაროს ცნობით, ეს განცხადება ირანის ატომური ენერჯის სააგენტომ გააკეთა. უახლოეს დღეებში ქვეყნის ენერჯის სისტემის სრული კოორდინაციის უზრუნველყოფის შესაძლებლად აუცილებელი ტესტირება ჩატარდება. ბუშერის ატომური ელექტროსადგურის ე.წ. წინასწარი ჩართვის ცერემონია 12 სექტემბრისთვის არის დაგეგმილი.



ფილატინო და მოუკიდებლობა გამოაშხადა

ცენტრალური იტალიის პატარა ქალაქმა ფილეტინომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საკუთარი ვალუტის ბეჭდვა დაიწყო. იდეის ავტორია ფილეტინოს მერი ლუკა სელარი, რომელიც ევროზონაში არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა სამუშაოს დაკარგვის საფრთხის წინაშე დააყენა. აღსანიშნავია, რომ ახალ ვალუტაზე სწორედ მისი სახეა გამოსახული. ლუკა სელარიმ ვალუტას ფიორიტო დაარქვა, ფულის ხსენებული ერთეული ქალაქში უკვე მიმოქცევაშია ჩაეშვა.



ქველი დრო იყო. რუსეთი მზამ დაანგრია და იმის ტერიტორიებს გერმანიის ჯარები მოადვნენ. მაგრამ რუსეთშიც და ჩვენშიც ბევრი გამოჩნდა ხალხი, რომელმაც იმპერიის კატასტროფული ზოლო „დიდი რევოლუციის“ დასაწყისად მიიჩნია. საბარტოველოს მავნიდელმა ბატონ-პატრონებმა ვერ გაიგეს, რომ ქართველი ერის წინაშე სულ სხვა ამოცანა იყო. რუსეთმა გაუქმო თავის რევოლუციას და დღესაც ცოცხალია. მაგრამ ქართულმა დემოკრატიამ იმდენი „აღრმავა“ ის რევოლუცია, რომ საბარტოველოს დამოუკიდებლობას ძირი გავარდა.

ქართული ინტელიგენციისა და უორდანის მთავრობის უსახელო

შალვა ამირეჯიბი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის პარლამენტის წევრი დაიბადა 1886 წელს. თბილისში დაამთავრა სათავადაზნაურო გიმნაზია, შემდეგ კი სწავლობდა ვენის უნივერსიტეტში. 1909 წელს დაბრუნდა საქართველოში და აქტიურად ჩაება პოლიტიკურ ცხოვრებაში, პარალელურად ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას. რევაზ გაბაშვილთან ერთად დაარსდა ჟურნალი „კლდე“, თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში — „სამშობლო“ და „საქართველო“. 1920 წელს გამოვიდა მისი ლექსების პირველი და უკანასკნელი კრებული „მინანქრები“. განსაკუთრებით საინტერესოა შალვა ამირეჯიბის ისტორიულ-პუბლიცისტური თხზულებანი, რომლებიც დაწერილია ღრმა ანალიტიკოსის კალმით. ის დღემდე საქართველოს პირველი რესპუბლიკის უაღრესად ავტორიტეტულ მემბრანად, რომლის ნააზრევიც ანგარიშგასაწევ მასალას წარმოადგენს მათთვის, ვინც ჩვენი ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი ფურცლების გაცნობას მოინდინებს. შალვა ამირეჯიბი გარდაიცვალა 1943 წელს. დაკრძალულია პარიზის სენტ-უანის სასაფლაოზე. თავის გამოსათხოვარ სიტყვაში ვიქტორ ნოზაძე შალვა ამირეჯიბის შესახებ ამბობდა: „შალვა ამირეჯიბი! ეს კაცია ჩვენის თაობის აზრი და ფიქრი, მისი ნატვრა და ბრძოლა! „სამშობლოს ხილვით მშვიერი, მძიმე, რთული განცდებით შეპყრობილი ქართველი კაცი“...



შალვა ამირეჯიბი

ქართულმა «დემოკრატიამ» ან დღეს გაღვაწიდა და ბევრ სხვა შეუძერა. ეს სიური მთავარ საქართველომ ნახა!

ქველი დრო იყო. რუსეთი მზამ დაანგრია და იმის ტერიტორიებს გერმანიის ჯარები მოადვნენ. მაგრამ რუსეთშიც და ჩვენშიც ბევრი გამოჩნდა ხალხი, რომელმაც იმპერიის კატასტროფული ზოლო „დიდი რევოლუციის“ დასაწყისად მიიჩნია. საქართველოს მავნიდელმა ბატონ-პატრონებმა ვერ გაიგეს, რომ ქართველი ერის წინაშე სულ სხვა ამოცანა იყო. რუსეთმა გაუქმო თავის რევოლუციას და დღესაც ცოცხალია. მაგრამ ქართულმა დემოკრატიამ იმდენი „აღრმავა“ ეს რევოლუცია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ძირი გავარდა. ვისგან შესდგებოდა ეს დემოკრატია — ამისი სწორი ანგარიში დღესაც არავის არა აქვს. მაგრამ მაშინვე ნათელი იყო, რომ საქართველოს ის ვერ მოუვლიდა. თუკი ამ ქართული დემოკრატიის მოკლე თხასიათებელ შესაძლებელია, ქართულ დემოკრატიას უნდა ითქვას, რომ ის იყო იდეოლოგიური თავი, თავის სოციალურ ტანს მოკლებული. ეს თავი ათასი ხიმერით იყო გამოჭდილი. ტანი კი უსუსური და უძლიერი. აი, ამ დემოკრატიის ხელში იყო საქართველოს ბედი. ჩვენი სახლობა მაშინ ვერაზედ ცხოვრობდა, დუშეთის ქუჩაზედ. ჩვენს გვერდით, მოქანდაკის, იაკობ ნიკოლაძის სახლი იყო, ისეთივე პატარა ბაღით, როგორც ჩვენ ბიზანს ჰქონდა და ბაღის ბოლოში პატარა სარაითი, რომლის ატელით გადაკეთებულზე იაშა დიდი ხანია ოცნებობდა. რაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა გამოცხადდა, იაშა იხანდა: „საქართველოში ერთი კათალიკოსია, ერთი

იაკობ ნიკოლაძე!“ ეხლა საქართველოს დამოუკიდებლობას ელოდა, რომელსაც მისთვის ერთი ატელიც უნდა მოეტანა. იმ გაზაფხულს იაშა ჩემს სურათს ხატავდა და მემუქრებოდა: — დავხატავ და დავანერ: თავადი შალვა ამირეჯიბი. პროპორშიკი. რუსეთისათვის არც ერთხელ ომში არ დაჭრილი! იგულისხმებოდა ის გარემოება, რომ დიდი ომის დროს ავსტრიის ფრონტზედ ვიყავი და სახლში მართლა, უცნებელი დავბრუნდი. მაგრამ იაშას მუქარა არ აუსრულდა. ვერც ჩემი სურათი დაამთავრა და ატელიც, მგონია, მხოლოდ ბოლშევიკებმა აუშენეს. — მიდინარე? დამიძახა ღია ფანჯრიდან თვალეზგაბრწყინებულმა იაშამ, კარში გამოსული რომ დამინახა. ადრე იყო. კაცმა რომ სთქვას, საქმეზედ ჯერ არსად მივიდი, მაგრამ, რაკი გზაზედ ვიდექი, მეც თავი ჩაუქნიე. — აბა, თქვენ იცით! მომადახა იაშამ და აღარ გამითავა. სეიმი უნდა დაიშალოს. სეიმის ტფილისთან ხელი არა აქვს. აქ საქართველოა! თუ გაჭირდა, ყველანი იქ მივალთ! ეს „ყველანი“ ის პოეტები, მწერლები, მხატვრები, ესტეტები, მუსიკოსნი, მომღერალნი და საერთოდ ტფილისის ბოგემა იყო, რომელიც „მზარნუგეში“ იყრიდა თავს „გასაჭირში, რომელზედაც იაშა ლაპარაკობდა, არაფრად ვარგოდა, მაგრამ მით არანაკლები ეშხით გაჰქონდა და გამომჰქონდა „რევოლუციური დემოკრატია“, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადების ავგირგვინებდა. ლექსები,

ვოლუციური ორღობეს ვერ გასცლოდა. წინა დღეებში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას კრება ჰქონდა, რომელზედაც დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი სწავდებოდა. საზოგადოებაში ხმა დადიოდა, რომ კრებაზედ ბევრ დრამატულ სცენას ჰქონდა ადგილი, ლაპარაკობდნენ, რომ ვიღაცას გული შეუნუხდა, ვიღაცამ თავისი აზრის პროტოკოლში შეტანა მოითხოვა. აზრი კი, დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო იყო. ასახელებდნენ პირებსაც. საზოგადოებას ეს ხმები მისდობდა და დღესაც, ოდესმე ისტორია იტყვის, რა მოხდა ამ კრებაზედ. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, ქართულმა სოციალ-დემოკრატი-

მაგრამ გამოირკვა, რომ აქტი ჯერ კიდევ შედგენილი არ იყო. — ჯერ მზად არ არის. მიერ-ბივარ კომისიის სხდომაზედ, რომ უკანასკნელი რედაქცია ჩამოვენერთო, — დაუმატა მან. — მაშ, სეიმის სხდომაზედ შეეხვებით? — არა მგონია, ღმერთმა ქმნას პარლამენტის გახსნას დროზედ მიუხსნოთ. — განა აქტი ასე გრძელია? — პირიქით, სულ ხუთი-ექვსი მუხლისაგან შესდგება. მაგრამ კომისიაში ბევრს ლაპარაკობენ. გვიბათილებენ ისეთ ძირითად დებულებებს, რომ ნახვ, ვერც აქტი გამოვა რიგინი და პარლამენტის გახსნაზედაც უსადილო მოვალ. ამ აქტის „ზოგიერთ“ დებულებათა გამბათილებელი იგივე „რევო-

რიზში, რომლისთვის ამიერ-კავკასიის „მთლიანობა“ ძველ რუსულ ბატონობის გამოძახილს კიდევ ჰგავდა, ახალი ვითარება კი ამასაც აქარწყლებდა. სეიმი დაიშალა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა ისე მოკვდა, რომ სხდომის დარბაზი (ცარიელი არ დარჩენილა მაშინაც, როცა სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა დარბაზი დასტოვეს. სეიმის ქართველი წევრები თავის ადგილებზედ დარჩნენ, ქართული პარლამენტის დანარჩენი წევრები ლოჟებიდგან სხდომის დარბაზში გადავიდნენ და პირველი ქართული პარლამენტი ასე შესდგა. ნათქვამია, რომ „ბუნება სიცარიელეს არ იმეებს“. მაგრამ ეს ნათქვამი ჩვენს შემთხვევას არ შეეფერება. ჩვენი შესვლა პირველ ქართულ პარლამენტში ჰგავდა უფრო იმას, როცა სასტუმროში ისეთ ოთახს გაძლევდნენ, რომელიც მდგომარეობას არის თქვენ თვალწინ დასტოვდა. ასეთი რამ მუდამ არასასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს. ისტორიულ მოვლენათა ასეთი უფერულობა შედეგი იყო იმ დომინანტი, რომელიც „რევოლუციონერმა დემოკრატიამ“ შექმნა, მით უარესი ჩვენთვის, ქართველებისათვის, რომ ამ დომინანტის მთავარი სცენა ტფილისი და საქართველო იყო. მაგრამ ასეა თუ ისე, სეიმი მოკვდა, საქართველოს პარლამენტი დაიწყო! დარბაზის სანახაობა უცხად შეიცვალა, ლოჟებში ისხდნენ კათალიკოსი ლეონიდე, ქართული ჯარის სარდლობა, გრაფი შულენბერგი თავის გერმანელებით და კავკასიის ერთა წარმომადგენლები, ცარიელი იყო მთავრობის ლოჟა, რომელიც ჯერ არა გვყავდა. მაგრამ ჟურნალისტების ლოჟა, ქანდარები და კულარები, პატარა ჭურჭრებანი, სადაც თვალის გაძვრებოდა და კარი, საიდგანაც თავი შემოიყოფოდა, ხალხით იყო სავსე. ჟორდანიამ, საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც „დამოუკიდებლობის აქტი“ წაიკითხა. ვერ ვიტყვი, რომ ამ აქტისთვის მაშინ დიდი ყურადღება მიმეცქიოს. ყველა ის, ვინც ამ თქვენსმეტი თავის განმავლობაში დამოუკიდებლობას ითხოვდა, ისე იყო განვალდებული რევოლუციონერ-დემოკრატიის ეროვნული ნიჰილიზმით, რომ ყოველი სიტყვა მისგან საქართველოზედ და საქართველოსათვის თქმული, დიდ ღვთის წყალობად მიგვიჩნდა. ყველაფერს ნაჩუქარ ცხენის ფასი ჰქონდა, რომელსაც კბილებს აღარავინ უშინავდა. ფეხზედ ავდექით და ტაში დაუკარით, შიმი ვერ ვიმღერეთ, რადგან არცა გვექონდა, ყველაზედ უწინ პარლამენტის პრეზიდიუმი იარჩა: თავმჯდომარედ კ. ჩხეიძე, ამხანაგებად — ე. თაყაიშვილი და ი. ბარა-



ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ქეიკო გოგოლაშვილი

სან-ფრანცისკოში მცხოვრები იაპონელი 98 წლის ქეიკო ფუკუსუდა ძიუდოს შავი ქამრის მფლობელი გახდა. ამავე დროს ქეიკო ბებო პირველი მდედრობითი სქესის წარმომადგენელია, რომელმაც ძიუდოს მეათე დონის შავი ქამარი მოიპოვა. რეკორდსმენმა ქალბატონმა ბავშვობა იაპონიაში გაატარა, თანატოლების მსგავსად, ჩაის მომზადების ხელოვნებითა და კალიგრაფიით იყო გატაცებული. ძიუდოს დაუფლების სურვილი ქეიკოს ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ პროტესტის გრძობამ გაუჩინა. „ჩემთვის ძიუდო იგივეა, რაც ქორწინება ან ოჯახი. ეს ჩემი ნამდვილი მოწოდებაა“, — ამბობს ქეიკო.

სისხლისპყრობის სასლაბი

1964 წლის ოქტომბრის ღამეს მასაჩუსეტის შტატის ქალაქ მეტოუენში მცხოვრები მარტინების ოჯახის წევრებმა სახლის კედელზე სველი ლაქა შენიშნეს. მარტინები გაოგნდნენ, რადგან ძალიან თბილი ამინდი იყო და მიღები ვერ გაიყინებოდა, შესაბამისად, ვერც გასკვებოდა. მეორე დღეს წყლის ნაკადი წამოვიდა და ოჯახმა იეჭვა, რომ რაღაც უცნაური ხდებოდა. მისტერ ფრენსის მარტინი ამერიკულ ფეხბურთს უყურობდა, როცა მოულოდნელად ტკაცანის ხმა გაიგონა, მერე კი სველი ადგილიდან წყალმა იჩქეფა.

ნამდვილი წყალდიდობა დაიწყო. კედლებიდან და ჭერიდან წყალი მოედინებოდა. უჩვეულო შხაპი დაახლოებით ყოველ 20 წუთში მეორდებოდა და მხოლოდ 20 წამს გრძელდებოდა. წყალი იმდენად ბევრი იყო, რომ ოჯახი იძულებული გახდა, რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, მისის მარტინის დედასთან გადაბარებულ იყოს, მაგრამ ამით საოცარ მოვლენას ვერ დაუსხლტა — ბორბლი შხაპი მათ თან გაჰყვა და ძალიან მალე ახალი თავმესაფრის ყველა ოთახიც წყლით გაივსო. ადგილობრივი წყალგაყვად

ნილობის სამსახურებმა ორივე სახლი შეამოწმეს, თუმცა ვერც ერთგან დაზიანებული მილი ვერ აღმოაჩინეს. მარტინებს კარგად ესმოდათ, რომ მათ არ დაუჯერებდნენ და დასცინებდნენ. თუმცა მას შემდეგ, რაც სპეციალისტებმა საკუთარი თვალთი იხილეს, როგორ გადმოდიოდა წყალი სრულიად მშრალი კედლებიდან, დასაჯინად აღარავის ეცალა. მაშინაც კი, როცა სახლში შემავალი ყველა მილი ჩაკეტეს, შადრევნები და ნაკადულები არ შეწყვეტილა. მსგავსი მოვლენა ადრეც მომხდარა და მას შემდეგაც,

თუმცა ახსნა ვერც მანამდე უპოვეს და ვერც მას შემდეგ. შემთხვევათა სხვადასხვა ადგილას სითხის შემცველობა სხვადასხვაგვარი იყო და ყოველთვის უწყინარი წყლის შხაპებით როდი შემოიფარგლებოდა. 1985 წლის აგვისტოში 30 წლის მძღოლმა ჟან-მარკ ბელმერმა თავის ცოლთან, ლუსისთან ერთად სამხრეთ საფრანგეთში მდებარე ახალ სახლში რემონტი გააკეთა. იანვარში სახლის ყველა კედელსა და სასტუმრო ოთახის ხალიჩებზე პანაწინა წითელი წვეთები გამოჩნდა. წვეთები მეორე დღეს თავისთავად გაქრა, თუმცა ხუთიოდე თვეში კვლავ გამოჩნდა, თანაც უფრო ინტენსიურად. მეორე დღესვე სახლს პოლიციის სამმართველოს სპეციალისტები ესტუმრნენ, რათა უცნაური მოვლენების მიზეზები გაერკვიათ. მთელ სახლში უკვე გამხმარი წითელი ლაქები, ექსპერტიზის თანახმად, სისხლი აღმოჩნდა. ანალიზებმა დაადასტურა, რომ ეს ადამიანის სისხლი იყო. გვამი დიდხანს და ყველა შესაძლო ადგილას ეძებეს,

მაგრამ, რაკი ვერ მიაკვლიეს, გამოიძება ჩიხში მოექცა. ორი წლის შემდეგ, 1987 წელს, გაზეთებში გაჩნდა ცნობები კიდევ ერთი სისხლიანი სახლის შესახებ, ამჯერად ამერიკაში. მინი კლაიდ ვინსტონი, 70 წლის ატლანტელი ქალბატონი, დილაუთენია უჩვეულო ხმამ გააღვიძა, თითქოს ონკანიდან წყალი წვეთავდა. ონკანის დასაკეტად წამოდგა, მაგრამ მის გაოგნებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც აღმოაჩინა, რომ მთელი სახლის კედლებიდან და ჭერიდან სისხლი წვეთავდა. თავის ქმართან, უილიამთან ერთად მისის ვინსტონი ამ ექვსოთახიან აგურის სახლში უკვე 20 წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა და ანომალიურ მოვლენებს არასდროს შეუწუხებია. როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, მსგავსი ხასიათის ყველაზე უჩვეულო მოვლენა გაცილებით ადრე, XX საუკუნის დასაწყისში დაფიქსირდა. 1919 წლის აგვისტოში ინგლისში, ნორფოლკის ეკლესიის მღვდლის სახლში მოულოდნელად შავი წვიმა დაიწყო — ჭერიდან დაუმუშავებელი ნავთობი წვეთავდა.



და. თავიდან იფიქრეს, რომ სახლის ადგილას ნავთობის საბადო იყო, თუმცა მოგვიანებით შავი სითხე იქცა უფრო მძიმე სუბსტანციად, რომელიც გაზოლინი აღმოაჩინეს და ბუნებრივი ახსნა-განმარტების ძიება შეწყვიტეს. მეორე კვირას კიდევ უფრო ძლიერი წვიმები სხვა სახლში დაიწყო, თანაც სხვადასხვა შემადგენლობის სითხე მოდიოდა — მარილიანი წყალი, მეთილის სპირტი, ზეთი და მრავალი სხვა. ერთ-ერთი ჩინოსანი, რომელიც ამ მოვლენების გამო-საძიებლად მღვდლის სახლში დადიოდა, ამბობდა, რომ ოთხი საათის განმავლობაში მხოლოდ ერთი ადგილიდან დაახლოებით 15 ლიტრი სითხე ჩამოვიდა. ასეთი ადგილი კი კედლებსა თუ ჭერზე უამრავი იყო. მალე სიტუაცია კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა და სახლის მფლობელი შიუ გი იძულებული გახდა, სხვა ადგილას გადასულიყო. ერთ დღეს კი იდუმალი წვიმები სამუდამოდ შეწყდა.

კრისტალების გამოქვაბული

ამ არაჩვეულებრივ ადგილს მზე ერთი წამითაც არ ანათებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტემპერატურა მუდამ 60 გრადუსს აღწევს, მაგრამ კრისტალების გამოქვაბულში ეს არაა მთავარი უცნაურობა.

მექსიკაში, ჩიუაუაში, ორი მეშახტე მითოვებულ შახტაში გვირახის გათხრას ცდილობდა და სწორედ ამ ცდევლობისას მოულოდნელად მათ უზარმაზარი კრისტალები თავს გამოქვაბულიდან აღმოაჩინეს. ძველად აქ ქვანახშირსა და ვერცხლს მოიპოვებდნენ და პერიოდულად მეშახტეები ნახულობდნენ პატარა გამოქვაბულებს, სადაც გამჭვირვალე სელენიტის კრისტალები იყო, მაგრამ მანამდე მსგავსი არავის არაფერი უნახავს. ამის შემდეგ იპოვეს კიდევ ერთი გამოქვაბული, რომელ-

საც სიმბოლურად ხმლების გამოქვაბული დაარქვეს. მართლაც სელენიტის კრისტალები უზარმაზარი ხმლების ფორმას მოგვაგონებს. მეცნიერებისთვის კი ყველაფერი დღესაც ნათელია — მათ მშენებლად იციან, თუ რატომ არის აქ ასეთი მაღალი ტემპერატურა და ასეთი კრისტალები. საქმე ისაა, რომ გამოქვაბულის ქვეშიდან გამოდის ჰიდროთერმული სითხე, რაც, ერთის მხრივ, იქ არსებულ მუდმივად მაღალ ტემპერატურას განაპირობებს, მეორეს მხრივ კი —



კრისტალების ამგვარ ფორმას. კრისტალები მხოლოდ და მხოლოდ შესაფერისი გარემოსა და ტემპერატურის გამო არ დაიშალა. ჰიდროთერმული სითხე გარდაიქმ-

ნება სელენიტად, რომელიც მინას ჰგავს და გამოიყურება ძალიან უცნაურად. ყველაზე დიდი ადამიანიც კი აქ ძალიან პატარაა, რადგან კრისტალების გამოქვაბულში არის ეგზემპლარები, რომელთა სიგრძე 11 მეტრია, წონა კი 50 ტონასაც აღწევს. გამოქვაბულში ადამიანის დარჩენა მაქსიმუმ 10 წუთის განმავლობაშია უსაფრთხო, ამ დროის ამონურვის შემდეგ კი მისი სიცოცხლე საფრთხეშია მაღალი ტემპერატურისა და ტენიანობის გამო. სპეციალური აღჭურვილობის გარეშე გამოქვაბულში შესვლა აკრძალულია.

მონეტური სახლოსო

სტივის ვებერი მონეტებით ქმნის სკულპტურებს, რომლებიც საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ზუსტი ასლებია. იგი ძირითადად მეოცე საუკუნის 80-იანი წლებით დათარიღებულ მონეტებსა და ვერცხლის 5-10-25-ცენტისებს იყენებს.



ფილადელფიელი მხატვარი სტივის ვებერი ამბობს, რომ მისთვის შთაგონების წყაროს „ცუდი“ ფილმები, თეატრი, მუსიკა და მოგზაურობა წარმოადგენს. როგორც თავად აღნიშნავს, არის ჯიუტი, ძლიერი, მიზანმიმართული, მოხერხებული და ენერგიული, ერთი სიტყვით, აქვს ყველა ის თვისება, რაც სუსტი სქესის წარმომადგენელს მეტალისაგან ამ საოცარი ნამუშევრების „გამოსაძერწად“ ესაჭიროება.




„ტიფლისის უნიკა“ ეწოდება უიზვიანო საფოსტო მარკას, რომელიც 1857 წლის 20 ივნისს რუსეთის იმპერიაში შავსაღმოსავლო ტიფლისის გუბერნიის დანიშნულ მარკა მიმოქცევაში იყო მცირე დროის განმავლობაში და გამოიყენებოდა ტიფლისის საქალაქო ფოსტაში, ტიფლისისა და კოჯრის მასშტაბით საფოსტო მომსახურების საფასურის ნიშნად. ერთი ვერსიით, მარკა გამოიყენებოდა 1857 წლის 20 ივნისიდან თბილისის მასშტაბით, 15 ივლისიდან — კოჯორში გასაგზავნი ფოსტისათვის, 1858 წლის 1 მარტს კი ხმარებიდან ამოიღეს. მეორე ვერსიით, მარკა გამოიყენებოდა იყო 1865-1866 წლებში.

ქართული 
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლაგენდარული საფოსტო მარკები

«შავი პენი»

„შავი პენი“ მსოფლიოში პირველი საფოსტო მარკაა, რომელიც დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულმა სამეფომ 1840 წლის 1 მაისს გამოსცა. მარკის შავ-თეთრ ნახატზე გამოსახულია დედოფალი ვიქტორია. მისი ღირებულება 1 პენი იყო. სწორედ შავი ნახატისა და ერთი პენის ღირებულების გამო ეწოდა ამ ლეგენდარულ მარკას „შავი პენი“. მარკა 2 მაისს ლონდონში არაოფიციალურად გამოვიდა მიმოქცევაში, ხოლო 6 მაისიდან ცირკულირებდა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიის ტერიტორიაზე. მარკის გამოშვებიდან რამდენიმე დღეში გამოვიდა მეორე მარკაც — „ლურჯი პენი“, ლურჯ ფერში შესრულებული დედოფალ ვიქტორიას პორტრეტით და 2 პენის ღირებულებით. მხატვარი გახლავთ ჰენრი კოული, ტირაჟი კი უცნობია. ბოლოს მსოფლიოს პირველი მარკები 2009 წლის 6 მარტს სოტბის აუქციონზე გამოიტანეს. „შავი პენის“ სუფთა ეგზემპლარი 20 625 ევროდ, ხოლო „ლურჯი პენის“ წყვილი მარკა — 54 050 ევროდ გაიყიდა.



«გამქალი ქალწული»

„გამქალი“ ქალწული არის ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე 1867 წელს გამოშვებული ლეგენდარული საფოსტო მარკა, რომელიც თეთრ ტონირებულ ქალაქზე ლითოგრაფიული ტექნოლოგიით დაიბეჭდა. მარკაზე გამოსახულია წმინდა ურსულა. მისი ნომინალი შეადგენდა 1 შილინგს. ერთ ფურცელზე 4 რიგად განლაგებული იყო 5-5 მარკა, სულ 20 მარკა. მარკები დაკბილულია, პერფორირებული.



«ოღრი ჰეპბერნი»

საფოსტო მარკა „ოღრი ჰეპბერნი“ გერმანიაში 2001 წელს გამოიცა. მარკაზე ცნობილი მსახიობის პორტრეტი გამოსახულია. ეს არის საქველმოქმედო მარკა, რომელიც გაყიდვაში არ გამოსულა. იგი ითვლება ყველაზე ძვირადღირებულ და იშვიათ თანამედროვე მარკად მსოფლიოში. დღესდღეობით ცნობილია მისი მხოლოდ 4 ეგზემპლარი. მარკაზე ოღრი ჰეპბერნი გამოსახულია ფართოფარფლებიანი გამოსახულია ფართოფარფლებიანი და პირში სიგარეტით. ეს კიზისათვის გამოყენებული იყო კადრი ფილმიდან: „საუზმე ტიფანისთან“. მარკა ოღრი ჰეპბერნის გამოსახულებით 14-მილიონიან-

ნი ტირაჟით დაიბეჭდა, მაგრამ, სანამ გაყიდვაში გამოვიდოდა, გერმანიის ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, სასწრაფოდ შეეჩერებინათ გაყიდვა, რადგანაც მსახიობის ვაჟმა უკან ნაილო გამოცემისათვის უფლების მინიჭების თანხმობა. ჰეპბერნის ვაჟმა დაიწუნა კადრი, რომელშიც ოღრი ჰეპბერნი პირში სიგარეტით იყო გამოსახული. ტირაჟი მთლიანად გაანადგურეს, გამოჩაკლეს იყო ორი ფურცელი — სულ 30 ცალი მარკა. გადაარჩენილი მარკები გადაეცა ბონის ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების მუზეუმის ფილატელისტურ არქივს და გერმანიის ფინანსთა სამინისტროს არქივს.



«ხარის თვალი»

„ხარის თვალი“ პირველი ბრაზილიური მარკაა, რომელიც 1843 წლის 1 აგვისტოს ბრაზილიაში გამოიცა. მარკა გამოვიდა სამი ნომინალის სახით: 30, 60 და 90 რეის ღირებულების. ბრაზილია იყო მეორე ქვეყანა მსოფლიოში, ბრიტანეთის შემდეგ, და პირველი — ამერიკის კონტინენტზე, რომელმაც გამოუშვა საფოსტო მარკა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გამოყენებისთვის (სხვა ქვეყნებში გამოცემული პირველი მარკები ლოკალური გამოყენებისა იყო). პირველი დიდი ბრიტანული მარკის მსგავსად, „ხარის თვალი“ არ ყოფილა წარწერილი ქვეყნის სახელი.

პირველი ბრაზილიური მარკის ასეთი უჩვეულო სახელი დაკავშირებულია თავად მარკის დიზაინთან: ფურცელზე წყვილად განლაგებული მარკები და ნათელ ფონზე მუქი ფერის ოვალში ორნამენტული ციფრებით გამოსახული ნომინალი ძალიან ჰგავდა ხარის თვალს. ბრაზილიური მარკების ასეთი დასახელება შენარჩუნდა შემდგომშიც, როდესაც მოგივიანებოთ გამოიცა მსგავსი დიზაინის, მაგრამ უფრო მცირე ზომის, მართკუთხა ფორმის ახალი მარკები სახელწოდებით „გველის თვალები“, „თხის თვალები“ (ლურჯი) და „კატის თვალები“ (შავი).

«ტრა სკილინგ ყვითელი»

„ტრა სკილინგ ყვითელი“ — შვედეთის საფოსტო მარკა — 2004 წლისთვის ყველაზე ძვირფასი საფოსტო მარკა იყო მსოფლიოში. 1855 წელს შვედეთმა გამოუშვა პირველი საფოსტო მარკების სუთი ნაირსახეობა შვედეთის გერბის გამოსახულებით 3-დან 24-სკილინგამდე დენომინაციით. 3-სკილინგის ჩვეულებრივ ლურჯ-მწვანე ფერით იბეჭდებოდა, ხოლო 8-სკილინგის — ყვითელ-ნარინჯისფერით. გაურკვეველია, რა მოხდა, მაგრამ, სავარაუდოდ, 8-სკილინგის ყალიბი საბეჭდო დაზა-



ბრიტანეთში ვირჯინიის კუნძულების პირველი საფოსტო მარკები გამოვიდა 1866-1867 წლებში. მარკის ნახატზე ცენტრში შავი საღებავით გამოსახული იყო წმინდა ურსულა. განსაკუთრებით საინტერესო იყო ბეკონისათვის უცნობი მეორე გამოშვების 1-შილინგის მარკა, რომელიც უნიკალური იყო თავისი უიზვიანოთესი ბეჭდვითი ხარვეზის გამო — მარკის შუაგულში წმინდანის ნაცვლად გამოსახული იყო სხივოსანი თეთრი ფიგურა. მიზეზი, თუ რამ გამოიწვია ასეთი შეცდომა, დაუდგენელია. 1981 წელს ლონდონის ფილატელისტურმა ჟურნალმა გამოაქვეყნა მოსაზრება, რომ „გამქალი ქალწულის“ ბეჭდვითი ხარვეზი განპირობებულია უცნობია.



«ტიფლისის უნიკა»

„ტიფლისის უნიკა“ ეწოდება უიზვიანო საფოსტო მარკას, რომელიც 1857 წლის 20 ივნისს რუსეთის იმპერიაში შემავალ ტიფლისის გუბერნიის დანიშნულ მარკა მიმოქცევაში იყო მცირე დროის განმავლობაში და გამოიყენებოდა ტიფლისის საქალაქო ფოსტაში, ტიფლისისა და კოჯრის მასშტაბით საფოსტო მომსახურების საფასურის ნიშნად. ერთი ვერსიით, მარკა გამოიყენებოდა 1857 წლის 20 ივნისიდან თბილისის მასშტაბით, 15 ივლისიდან — კოჯორში გასაგზავნი ფოსტისათვის, 1858 წლის 1 მარტს კი ხმარებიდან ამოიღეს. მეორე ვერსიით, მარკა გამოიყენებოდა იყო 1865-1866 წლებში. სწორედ „ტიფლისის უნიკით“ იწყება საქართველოსთან დაკავშირებული საფოსტო მარკების ისტორია. ტიფლისის უნიკის მხოლოდ სამი ეგზემპლარია შემორჩენილი,



ყველაზე გრძელკუდა

აღმოჩნდა, რომ დედამიწაზე ყველაზე გრძელკუდა არსება მამალია. მაგრამ ამგვარი რეკორდსმენი მამლები მხოლოდ იაპონიის პატარა სოფელ კატიოში ცხოვრობენ. სოფელი სიკოკუს კუნძულზე, ქალაქ კოტიდან 20 კმ-ში მდებარეობს.



მამლების ეს ჯიში 270 წლის წინათ გლეხმა რიძე-მონ ტაკეიტიმ გამოიყვანა. იმ პერიოდში ადგილობრივ ფეოდალებს ლაშქრობის დროს ყოველთვის მდიდრული ამაღა დაჰყვებოდა, ფეოდალების მსლებლთა მუხებზე კი მამლის კუდეებით იკაზმებოდა. იმ დროიდან გრძელკუდა მამლების მოშენება იაპონიის ამ სოფელში ტრადიციად იქცა. ახლა ყველაზე გრძელკუდა მამლის კუდის სიგრძე 7,3 მეტრს შეადგენს.

რუსეთში ქართული ღვინის აქსოვრების განახლებას სააკაშვილი აბრკოლებს

ამ ორიოდე დღის წინათ მიხეილ სააკაშვილმა კახეთში თათბირი ჩაატარა და „ფასუელი“ ინსტრუქციები მისცა მევენახეებსა და მეღვინეებს რთველის დაწყებასთან დაკავშირებით. რუსეთის მიერ საკუთარ ბაზარზე ქართული ღვინოებისა და მინერალური წყლის დაშვების შესახებ მზაობის გამოხატვის ფონზე სააკაშვილმა აღნიშნული საკითხისადმი აბსოლუტურად საპირისპირო დამოკიდებულება გამოავლინა და, ფაქტობრივად, ღვინის ბიზნესით დაკავებულ ქართულ კომპანიებს რუსულ ბაზარზე შესვლა აუკრძალა. მისი სიტყვებით, „რუსეთში არის ყალბი ღვინის წარმოების გამზადებული ბაზრები... ჩვენ რომ მივიღოთ შეკვეთა რუსეთიდან, მივიღებთ იმას, რომ ვიდრე ჩვენ ბოთლებს ვიყიდით და გავაკეთებთ, ისინი მოსკოვსა და პეტერბურგში ჩამოასხამენ ჩვენს ღვინოებს და ჩვენ დაგვრჩება წული, რადგანაც მთელი ბაზარი აგებულია ყაჩაღობასა და პირატობაზე“.

ერთი შეხედვით, ზრუნვა ქართული პროდუქციის რეპუტაციასა და ქართული მეღვინეობის ბიზნესის სტაბილურობაზე. მაგრამ დღევანდელ საქართველოში ბიზნესმენი კი არა, ბავშვიც ხვდება, თუ რას ნიშნავს პრეზიდენტის „რჩევა“. ეს მოთხოვნა, რომლის არმესრულება, თუ სიგარეტის კოლოფებზე ცნობილი წარწერის პერიფრაზირებას მოვხადებთ, მავნებელია „რჩევილენობა“ ბიზნესის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც სააკაშვილი „მეგობრულად ურჩევს“ ქართულ ბიზნესს რუსულ ბაზარზე შესვლისგან თავშეკავებას. უფრო ადრე, როდესაც პირველად გაიხმა რუსული მხრიდან მზადყოფნის ნიშნები ქართული ღვინის რუსულ ბაზარზე დაშვების შესახებ სააკაშვილმა, სააკაშვილმა, რომ იტყვიან, „ქოში უკულმა ყარა“ და მოჭრით განაცხადა, საქართველოს არ აქვს რუსეთში გასაყიდვარი ღვინო. კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა და მისი განაცხადი საქმეში ჩახედულ შემთხვევაში კავკასიონის ორივე მხარეს ისე გაიგავს, როგორც „რუსების გასაფუჭებელი ღვინო სადა გვაქვს“, „ეგლა გვაკლია, რომ ქართული ღვინო რუსებს დაეღვინებოთ“.

აშკარა, რომ სააკაშვილი პრინციპულად წინააღმდეგობას ატარებს ღვინის რუსულ ბაზარზე მოხვედრისა და მთელ თანამატრიტობას „და ძალაუფლებას იყენებს საბიზნესო“.

ნუ დავინებებ მის ამგვარ დამოკიდებულებაში, ქართული ღვინის რუსეთში არდაშვების შესახებ პერიოდულ დემარშებში, „ქსენოფობიური მეტაფორები“ ძიებას, ნურც მხოლოდ შეურაცხყოფის, შენახული თავმოყვარეობისა და მტერი და ოკუპანტი რუსეთისადმი რაღაცით სამაგიეროს გადამხდის სურვილით ავსებით ამას. — რუსეთის „მტრობა და ოკუპანტობა“ საქართველოს ხელისუფლებას რატომღაც მაშინაც კი არ გახსენებია, როდესაც ეკონომიკის უმსხვილესი ობიექტები თანმიმდევრულად და წარწარად გადასცა რუსული ეკონომიკის ზვიგენებს, რომელთა „ბიზნეს-ფარფლებს“ კარგად თუ დაავკვირდებით, კრემლის ქონჯურის კონტრუქტებისგან ვერც კი გამოარჩევიან. მართო ავგისტოს ომის შემდეგ, მესამე ქვეყნებში რეგისტრირებული კომპანიების სახელებს ამოფარებულ საქართველოში შემოსულ რუსულ კაპიტალზე რომ არაფერი ვთქვათ, უშუალოდ რუსეთიდან საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა თითქმის 100 მლნ აშშ დოლარი, იმპორტმა — 900 მლნ აშშ

დოლარი, ხოლო ფულადმა ტრანზაქციებმა 1100 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მაშ, რატომ გამოდის სააკაშვილი ქართული ღვინის რუსულ ბაზარზე დაშვების წინააღმდეგით?

2006 წლამდე ღვინის საქართველოდან რუსეთში წარმოებულ ექსპორტში წამყვანი პოზიციები ეკავა. რუსეთში მოდიოდა ქართული ღვინის მთლიანი ექსპორტის 87 პროცენტით (ლიტრებში) და 77 პროცენტით — ლიტრებით (აშშ დოლარებში), ნელინადმი დაახლოებით 52 მილიონი ბოთლის ექვევადი. შედარებისათვის: ეს 5-ჯერ მეტია იმ მაჩვენებელზე, რომელზეც უკრაინისთან მიმართებაში დიდი ძალისხმევით უნდა ჩვენ შევძლებთ მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გასვლას. ამიტომ, რაც უნდა ბევრი ვილაპარაკოთ ღვინის ექსპორტის დივერსიფიკაციაზე, ტურისტების მოზღვაებასა და თუნდაც მათთვის აქ ღვინის „სამჯერადი დიეტის“ დანიშვნაზე, რუსული ბაზრის სრული ჩანაცვლება სხვა ბაზრებით ან თუნდაც შიდა მოხმარების გაორმაგებით, შეუძლებელია.

თუ რუსეთში ფალსიფიცირებული ქართული ღვინოების დამზადებას აპირებენ, საქართველოს პრეზიდენტის „რჩევა“ ქართული ღვინის რუსეთში გატანისაგან თავის შეკავებაზე უფრო რუსეთის ბიუჯეტზე ზრუნვასა და არა ქართული ღვინის მწარმოებლებზე ზრუნვას ნიშნავს. სააკაშვილი ბიზნესის, გამომდის: რუსეთში ფალსიფიცირებული ღვინოები საერთოდ არ იყიდება და ახლა იქაური კონტრაბანდისტები და ფალსიფიკატორები მსაჯის სასტვენის წმასავით ელოდებიან ქართული ღვინის პირველი პარტიის საქართველო-რუსეთის საზღვრის გადაკვეთას, რათა მერე აქედან ჩატანდნენ ერთ ბოთლზე ასი ფალსიფიცირებული თავდა გაუშვან ქსელში და საარაკო მოგება ნახონ?!

მთელი მსოფლიო ვაჭრობის რუსეთთან, რუსეთის შიდა ბაზარი სავსეა ფრანგულიდან დაწყებული, ჩილეს ღვინოებით დამთავრებული, მაგრამ ეტყობა, არც საფრანგეთის პრეზიდენტს — ნიკოლას სარკოზის, არც ჩილეს პრეზიდენტს — სებასტიან პინიერას მსოფლიოში თავიანთი მელვინები და არ მოუწოდებიათ მათთვის რუსეთში ღვინის შესვლაზე თავშეკავებისაკენ, მოტივით — იქაური „ბიზნესმენები“ ადგილზე ამზადებენ ჩვენებური ღვინის ფალსიფიკატს და იმით ამარაგებენ სავაჭრო ქსელს.

ჩვენი პრეზიდენტის დარიგება კი, ეტყობა, იმ „რეალობას“ ეფუძნება, რომლითაც რუსულ



კრიმინალურ და ნახევრადკრიმინალურ სტრუქტურებს ღვინის ბიზნესის წარმოების თავიანთი სპეციფიკური ხედეა და ტექნოლოგია აქვს: ფალსიფიკაცია — მხოლოდ ქართული ღვინოებზე. მსოფლიოს სხვა ქვეყნების ღვინოებზე ამის გაკეთება არ შეიძლება, რადგანაც თურმე ამაზე, თავის დროზე, „დედა აქეთ დაგინებელი“.

ან არადა, ყველა იმ ქვეყანას, ვისაც რუსეთში შეაქვს ღვინოები, საქართველოსგან (მისი პრეზიდენტისგან) განსხვავებით, არ ავიწყდება, რეიგანისდროინდელი ერთი ქართველი პოლიტიკური მიმომხილველის ცნობილი ნათქვამის პერიფრაზი რომ მოეხადინოთ, ქართული ანდაზა: „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?!“...

შე დლოცვოლო, თუ რუსეთი მტერია, მაშინ მტრის ეკონომიკას რაც აზარალებს, იმაზე ჩვენ რატომ უნდა გავდარდოთ? თუ არსებობს „გონივრული ეჭვი“, რომ კონტრბანდის რუსულ ბაზარს, ეს შენთვის უკეთესიც უნდა იყოს, რადგან შენი მტრის ბიუჯეტი სათანადოდ ვე(ლა)რ შეივსება.

ასე რომ, ქართული პროდუქციის ფალსიფიკაცია რუსეთის შიდა ბაზარზე ნაკლებად აზარალებს ქართული პროდუქციის მსოფლიო რეპუტაციას, მაგრამ მისი დონე პირდაპირპროპორციული იქნება რუსეთის სახელმწიფოს ფისკალურ ზარალთან. ამიტომ იმის თქმა, რომ არიქა, რუსეთში მზად არიან ფალსიფიცირებული ქართული ღვინით ქვეყნის შიდა ბაზრის გასაცვებად, ქართული ღვინის რუსეთში არგასაშვებ არგუმენტად ვერაფრით გამოდგება.

საკაშვილი მიზანმიმართულად იყოს ის არგუმენტიც, თითქოს რუსეთი ვერ შეუძლებს თავის ბაზარზე და მერე ერთხელაც ისევ განმოცხადებს ემბარგოს და აწყობილ ბიზნესს დაუზღვრეს ქართველ მეღვინეებს.

ეს არგუმენტი პოლიტიკურადა დეტრამინირებული, მთლიანად პოლიტიკური კონიუნქტურითაა ნაკარნახევი და არ ითვალისწინებს ბიზნესის პრინციპს — ურთიერთსარგებლოებას. ქართული ბიზნესი რუსეთში ვერ იხიერებს, თუ არ იხიერა ამ ბიზნესთან დაკავშირებულმა რუსულმა ბიზნესმაც. და სადაც ბიზნესი ხეირს ნახულობს, იქ პოლიტიკა მეორე პლანზე გადადის. ცნობილი ნათქვამის პერიფრაზით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, როდესაც ბიზნესის ქვეყნები ისვრიან, კონფრონტაციის მუხები დუმან...

ძალის თავი კი, ფაქტობრივად, სულ სხვაგანა დამარხული: სააკაშვილს, ფაქტობრივად, არ უნდა, რომ მეღვინეებმა, და საერთოდ ქართულმა

ბიზნესმა, ფული იმოვონ, ეკონომიკურად ნელში გაიმართონ, ხელისუფლებას კეთილი ნებისა და წყალობის გარეშე დამისგან დამოუკიდებლად; არ უნდა, რომ ქართული ბიზნესი ა(ღ)ა იყოს დამოკიდებული ქვეყნის ხელისუფლების კეთილგანწყობაზე, მიბმული ნაციონალურ „ფინანსურ ბაზაზე“. ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად ფულის მმოვნელი ბიზნესმენი დამოუკიდებელია თავის არჩევანსა და პოლიტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაშიც, რაც სააკაშვილისთვის განსაკუთრებით საშიშია. ქართული ბიზნესის მიერ ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად ფულის შოვნის ყველაზე დიდი სეგმენტი რუსული ბაზარია, ამიტომ ცდილობს „დემოკრატიული“ და „საბაზრო“ ფრანგოლოგიით აღჭურვილი სააკაშვილი ამ მიმართულების გადაკეტვას. რუსეთის მტრის ხატად წარმოჩენით, იგი ცდილობს, ადამიანებს არ მისცეს საქმიანი კონტაქტების საშუალება, რაც ამ მტრის ხატის ნგრევაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა.

ამავე მიზეზით ეწინააღმდეგება იგი ქართველი „ბიზნეს-სუბიექტების“ (სუბიექტი — ეთნიკური ჩინელი, რომელიც ჩინეთის საზღვრებს გარეთ ეწეოდა ბიზნესს) — რუსეთში მოღვაწე წარმატებული ეთნიკური ქართველების საქართველოში ბიზნეს-აქტიურობას. მათ, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ საქველმოქმედო, არაკომერციული საქმიანობის უფლება ეძლევათ. სწორედ ეს უნდა იყოს სააკაშვილის შემოხსენებული გამოსვლის მთავარი არსი, აქ უნდა იყოს „ძალის თავი დამარხული“.

საკაშვილი მიზანმიმართულად ცდილობს რუსული საზღვრის მისაღწევაში, რომ სწორედ ამაზე ღებოს მისი სახელისუფლო ძაბრი.

თუმცა მუდმივი ძაბრი „მგელი მოდის, მგელი მოდის“ ისევე კონტრპროდუქტიულია, როგორც ცოცხალი მგლის დაშინება ვენახის ბოლოში და მარხული ძალის თავით.

ასეა ეს და, თუ არ გვერათ, იქნებ ცოტა რამ ქართველ მეღვინეებსაც უკითხოთ...

Geworld.ge-ს მიხედვით

პაატა დავითიაი აპროპალი გახდა



პაატა დავითიაი საკუთარ პარტიას სახელი შეუცვალა. ამიერიდან მას „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“ ეწოდება, ხოლო პარტიის ადრინდელი სახელწოდება „ჩვენ თვითონ“ პარტიის დევიზად იქცა.

ეს გადაწყვეტილება პარტიის რიგგარეშე ყრილობაზე მივიღეთ, რათა პარტიის სახელწოდებაში ევროპული პრინციპებისკენ სწრაფვა უფრო მკაფიოდ ასახულიყო, რაც ჩვენ უკვე დავადასტურეთ 2007 წელს საგურამოს მანიფესტზე ხელმოწერით, — აცხადებს დავითიაი. მისივე თქმით, 2008 წელს პარტია ევროპელი დემოკრატების ჯგუფის წევრი გახდა, ხოლო 2011 წელს პარტიამ ევროპულ პაქტზე პოლიტიკური მდინის პოსტი მოიპოვა.

ერთი სიტყვით, დავითიაი უკვე ევროპელია და თან — დემოკრატი. რა გასაკვირიც უნდა იყოს, მან ამას „თვითონ“ მიაღწია. ახლა ვერი საქართველოს ხელისუფლებაზეა. მას „თვითონაც“ შეუძლია გახდეს „ერთიანი ნაციონალური ევროპული დემოკრატიის შუქურა“, დევიზით „ჩვენ თვითონ“.

დოლარი მსოფლიო საჩუქარო პალატის სტატუსს კარგავს



რუსეთისა და ჩინეთის ბანკებმა ხელშეკრულება დადეს, რომ მსოფლიო გარიგებისას ანგარიშსწორება თავიანთ ეროვნულ ვალუტებში განახორციელონ. ეს შეთანხმება საერთაშორისო ოპერაციებში დოლარის როლის შემცირებისკენ არის მიმართული.

უკეინი და მოსკოვი ხანგრძლივ მოლაპარაკებებს ახორციელებდნენ ინვესტიციებსა და ანგარიშსწორებაში დოლარის ნილის შემცირების თაობაზე. 2010 წლის ნოემბერში შანხაის ბირჟაზე დაიწყო ვაჭრობა სავალუტო წყვილით — „იუანი/რუბლი“. იმავე წლის დეკემბერში ანალოგიური ვაჭრობა დაიწყო მოსკოვში MMBB-მაც. ჩინეთის საბაჟო სამსახურის ცნობით, 2011 წლის იანვარ-აპრილში რუსულ-ჩინური სავაჭრო ბრუნვის მოცულობა 37,8%-ით, 22,4 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

ამ შეთანხმების მნიშვნელობა მეტად დიდია. 2011 წლის აპრილში ამერიკელმა ფინანსისტმა ჯორჯ სოროსმა ხაზი გაუსვა დისპროპორციის მსოფლიოს ეკონომიკაში, რაც იმაში გამოიხატება, რომ საანგარიშსწორებო ოპერაციების ვალუტად დოლარი რჩება, მაშინ, როცა ინვესტირების ვალუტა ჩინური იუანი გახდა. სოროსი ამას სერიოზულ საფრთხედ მიიჩნევდა დოლარისთვის, მსოფლიო სარეზერვო ვალუტის სტატუსის შენარჩუნების თვალსაზრისით. ახლა უკვე მსოფლიოს მეორე ეკონომიკა — ჩინეთი კონტრაგენტებთან ანგარიშსწორებისას საკუთარ ვალუტაზე გადადის.

ევროპული საფონდო ბირჟის გაყიდვის ინდექსი



ევროპული საფონდო ბირჟების გაყიდვის ინდექსი 5 სექტემბერს 3-6 პროცენტით დაეცა. ეს განპირობებული იყო, ერთის მხრივ, საბრძენების და იტალიის პრობლემებით, ასევე იმით, რომ გერმანიის რეგიონულ არჩევნებში მმართველმა პარტიამ გამარჯვება ვერ შეძლო, ხოლო ევროპულ ხელისუფლებას რეგიონში ვალის პრობლემების გადაწყვეტის უნარი არ ეყო.

ფრანგული საფონდო ბირჟის CAC 40-ით და გერმანული DAX 5 პროცენტით ჩაიძირნენ, ხოლო ბრიტანული ინდექსი FTSE 100 3 პროცენტით დაეცა. რუსეთში საფონდო ბირჟა MMBB-ზე გაყიდვის ინდექსი 1,5 პროცენტით დაეცა, ხოლო PTC-ზე 2,4%-ით. ევროპის საფონდო ბაზარზე ამდგვარ ვითარებას ევროს ზენონა განაპირობებს, რომელიც დოლართან მიმართებაში 1.41-ით დაეცა.

საქართველო **ესტეპკაით ჩვენს საიტს**

<http://www.geworld.ge>

მთავარი რედაქტორი ირაპლი თოდუა
 ბაზათი ხელმძღვანელოვს თაქვის უფალი პრეზის პრინციპებით.
 მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
 ტელ.: 234-32-95; e-mail: info@geworld.net